ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№68. 68261778**
თარიღი:**26/06/2026**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის განმხორციელებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 03 ივლისის N 16 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში მოსახლეობისაგან შემოსული საპროექტო წინადადებების კრიტერიუმებთან შესაბამისობის ცხრილი (დანართი N1);

2. მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ბიუჯეტად 2026 წლისათვის განისაზღვროს **300 000 (სამასი ათასი)** ლარი;

3. მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, საპროექტო წინადადების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხის მაქსიმალური ოდენობა 2026 წლისთვის განისაზღვროს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით;

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში 2026 წლისთვის, შესაძლებელია, დაფინანსდეს მინიმუმ ათი საპროექტო წინადადება;

5. 2026 საბიუჯეტო წლისთვის, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ეტაპებისთვის განისაზღვროს შემდეგი ვადები, კერძოდ:

ა) მოსამზადებელი ეტაპი - 29 ივნისიდან - 5 ივლისის ჩათვლით;

ბ) საპროექტო წინადადებების მიღების ეტაპი - 6 ივლისიდან - 9 აგვისტოს ჩათვლით;

გ) საპროექტო წინადადებების პირველადი გადარჩევა - 10 აგვისტოდან - 23 აგვისტოს ჩათვლით;

დ) კენჭისყრის ეტაპი - 24 აგვისტოდან - 28 სექტემბრამდე;

ე) გამარჯვებული პროექტის გამოვლენა და პროექტის დამუშავება ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით - 28 სექტემბრიდან - 4 ოქტომბრის ჩათვლით;

6. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის განსახორციელებლად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) მერის პირველი მოადგილე - **ვარლამ ჭიპაშვილი -** ჯგუფის ხელმძღვანელი;
ბ) მერის მოადგილე - **დავით დევდარიანი -** ჯგუფის წევრი;
გ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი მ/შ - **ნინო მაღლაკელიძე -** ჯგუფის წევრი;
დ) ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი - **პეტრე შარიქაძე -** ჯგუფის წევრი;
ე) კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ხელმძღვანელი მ/შ - **ხათუნა ტაბატაძე -** ჯგუფის წევრი;
ვ) ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - **მარინა კვინიკაძე -** ჯგუფის წევრი;
ზ) ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ინგა ლურსმანაშვილი** - ჯგუფის წევრი;
თ)ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - **ინგა ბერაძე** - ჯგუფის წევრი;
ი)საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საფინანსო-სახაზინო განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - **ეკა დვალიშვილი** - ჯგუფის წევრი;
კ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი სახაზინო-საბიუჯეტო საკითხებში - **ვასილ შარიქაძე** - ჯგუფის წევრი;

7. **პროგრამის კოორდინატორობა დაევალოს მერის მოადგილეს - დავით დევდარიანს**;

8. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამარჯვებული საპროექტო წინადადება გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის მიმდინარე ბიუჯეტში;

9. ბრძანების სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურის უფროსს;

10. ბრძანება ძალაშია ხემოწერისთანავე;

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 180-ე მუხლით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.N7).

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი